რედაქტორისგან

ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ში, ზაალ ჩხეიძის ბლოგში, მაისში გამოქვეყნდა წერილი „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, ანუ სასიკვდილო ჩვენ ვართ მხოლოდ“. მას სრულად ჟურნალის ამ ნომერშიც წაიკითხავთ.

ბლოგს დიდი აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. საყვედურიც მოვისმინეთ: „რატომ მაინცდამაინც „მასწავლებელში“? – იკითხა მკითხველმა. ჩვენ, ბუნებრივია, ღიად ვისაუბრებთ ყველაფერზე, რაც სკოლას, მასწავლებელსა და განათლებას შეეხება.

და მაინც, სურვილი გამიჩნდა, რედაქტორის წერილში რამდენიმე გამოხმაურება გამეცნო თქვენთვის. მენდეთ, ნამდვილად ღირს დაფიქრებად:

„ამერიკის ერთ მოცუცქნულ ქალაქში ვცხოვრობთ ახლა, ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში დადის ჩემი ერთი შვილი, მეორე – ბაღში. თითქმის ყველა ეკლესიასთან არის ბაღი, მაგრამ იღებენ ნებისმიერი აღმსარებლობის მოსწავლეს და არანაირ რელიგიურ პროპაგანდას არ ეწევიან. გარდა ამისა, გამუდმებით რთავენ ბავშვებს სოციალურ პროგრამებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში, ოღონდ ისე, სახალისოდ, ნებაყოფლობით, არავითარი დადგმებითა და გაბუქებით...“

„ყოჩაღ, რა კარგად გვისწავლებია ქუჩა-ქუჩა გარყვნილების პროპაგანდა... საინტერესოა, თქვენ ვინ გასწავლათ ეს... მართალი ის არის, რომ პოზიციის ნორმალურად, ძალადობის გარეშე გამოხატვა ვერ ვასწავლეთ... ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ მეორე მხარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ვაჟა-ფშაველა ჩემი წმინდანია და იგი უპირველესად იმას გვასწავლის, რომ უხამსობას არ უნდა შევეგუოთ... რა თქმა უნდა, ცემა-ტყეპის გარეშე, ეს კიდევ სხვა ასპექტია“.

„სამი პროფესია: მასწავლებელი, ექიმი, მშენებელი, – განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს. ოცი წელია, სამივე პროფესიის ხარისხი და მნიშვნელობა მიექანება უფსკრულისკენ, უფრო სწორად, უკვე უფსკრულის ფსკერზე ვართ, როგორი იქნება ხვალინდელი დღე? გაცილებით უარესი“.

„ამ დაქანების შედეგია სწორედ ზაალისნაირი მასწავლებლები, რომლებსაც კარგად ვერ გაურჩევიათ, ვისი სიყვარული უნდა ასწავლონ მოსწავლეებს – მოყვასისა თუ ეშმაკეულის და, რაც მთავარია, ეშმაკეული-სოდომელი ჰგონიათ მოყვასი და ცნობიერებაში ვერ მიჯნავენ ამ ორს ერთმანეთისგან...“ „სიამოვნებით და ბედნიერი მოგაბარებდით ერთადერთ შვილს კაცურად და ქართულად აღზრდისათვის“.

მართლაცდა, როგორც ბლოგის ავტორი ამბობს, გვაქვს თუ არა მასწავლებლებს ბოდიში მოსახდელი?..

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

N3(26),2013

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, მაია ფირჩხაძე, ირინა აბულაძე, ქეთევან ქობალია, ეკატერინე შავერდაშვილი, ნესტან რატიანი, გიორგი ნოზაძე, კახა ჟღენტი, მარინე ჯაფარიძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა რატიანი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

4 ჭეშმარიტი სწავლა და მისი პედაგოგიური საფუძვლები

მოსწავლეები ყველაზე უკეთ კეთების პროცესში სწავლობენ, ხოლო კეთება ყველაზე შედეგიანი მაშინაა, როცა ის რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებს უკავშირდება, ანუ როცა ეხება რეალური ან თითქმის რეალური პრობლემების გადაწყვეტას.

ირინა აბულაძე

12 მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში

კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას გაუჩენს. უამრავი დისციპლინათშორისი თეორია ცდილობს, ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას იწვევს. აქ რამდენიმე მათგანს შევეხებით.

გლობალური სკოლა

კახა ჟღენტი

36 მარიონეტების ფაბრიკა. სკოლის მასწავლებლის აღსარება

ჩვენი სკოლა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. გამოსავლის ძიებაში ხშირად მივმართავთ სხვა ქვეყნების განათლების სისტემების გამოცდილებას. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა აშშ. ეს ქვეყანა, ამავე დროს, სერიოზული პარტნიორია ჩვენი განათლების სისტემის განვითარების საქმეში.

მოსაზრება

თეო ნეფარიძე

8 თანამშრომლობა სკოლებს შორის

მოსწავლეებზე ორიენტირებული თანამშრომლობა სკოლებს შორის როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების კონტექსტში შეიძლება განხორციელდეს. აკადემიური მიზნით შეიძლება დაიგეგმოს გაცვლითი ვიზიტები და პროექტებზე დაფუძნებული სწავლა.

გიორგი ნოზაძე

16 ახალი პარადიგმები მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში

კვლევებმა აჩვენა, რომ ერთობლივი დაგეგმვა გადამწყვეტი ფაქტორია პროფესიულ განვითარებაზე მზრუნველი ერთობის ჩამოყალიბებისთვის. მნიშვნელოვანია აგრეთვე მასწავლებლებისთვის გადაწყვეტილების მიმღების სტატუსის მინიჭება.

ეკატერინე შავერდაშვილი

24 „სამეტყველო უნარ-ჩვევები“ – იზოლირებულად თუ ინტეგრირებულად

მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის დროს გარედან შეუძლებელია ზუსტად იმის აღქმა, რა მოვლენებთან გვაქვს კავშირი. მართალია, ლაპარაკის დროს გვესმის ბგერების თანმიმდევრობა, ან წერის დროს ვხედავთ ხელის მოძრაობებს, რომლებსაც აზრიანად გადააქვთ ქაღალდზე გარკვეული ნიშნები, ჩვენთვის მაინც რთულია იმის გაგება, რომ სინამდვილეში ამ დროს უფრო მეტი ხდება.

ნესტან რატიანი

47 “Dum docemus discimus” ანუ როცა ვასწავლით, ვსწავლობთ

რა ფუნქცია აქვს სკოლას? პასუხი ძალიან მარტივია: სკოლამ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უნდა მოგვამზადოს, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი ცოდნა უნდა მოგვცეს, რომ კონკურენტულნი ვიყოთ იმ დიდ სამუშაო ბაზარზე, რასაც ცხოვრება ჰქვია.

შინაარსი

47

რესურსი

მაია ფირჩხაძე

20 ალგორითმის გამოყენება სასწავლო პრაქტიკაში

ალგორითმი ფართოდ გამოიყენება სასწავლო პრაქტიკაში, რამდენადაც მას აზროვნებაში შემოაქვს ახალი საგანმანათლებლო სტანდარტები და სწავლების მიმართ სისტემურ-შემოქმედებითი მიდგომები.

მარინე ჯაფარიძე

32 ნეიროლინგვისტური პროგრამირება პედაგოგიკის სამსახურში

ყველა მასწავლებელს უცდია ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა, თუმცა ამას ყოველთვის არ მოაქვს შედეგი. აი, რისი ბრალია ეს: მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან, ზოგიერთ მოსწავლეს კი ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, რათა „კორიდორში“ არ აღმოჩნდეს.

მანანა რატიანი

40 საზროვნო სტრატეგიის სწავლება

დღეს სასწავლო პროცესი მოსწავლეებს უბიძგებს იმისკენ, რომ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, შეძლონ მათი დასაბუთება, იაზროვნონ კრიტიკულად და შემოქმედებითად. სხვა შემთხვევაში, მოსწავლეები ვერ იქნებიან მზად თანამედროვე, სწრაფი ცვლილებების გარემოში ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

რესურსი

მაია ჯალიაშვილი

44 სელესტენ ფრენეს „პედაგოგიური ინვარიანტები“

კაცობრიობის ისტორიაში აღზრდის თემა ერთ-ერთი უძველესია. დრონი იცვლებიან, მაგრამ მარადიულად რჩება საფიქრალი: როგორ უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა, რომ ის განათლებულიც იყოს და ზნეობრივიც. ამ ფიქრის რკალშია მოქცეული გამოჩენილი ფრანგი პედაგოგის, სელესტენ ფრენეს წიგნი „პედაგოგიური ინვარიანტები“.

ქეთევან ქობალია

51 კავშირი ფიზიკურ აქტივობასა და ინტელექტუალურ განვითარებას შორის

ზოგიერთი ადამიანი ცნებებს „ჩემი სხეული“ და „ჩემი ცნობიერება“ ერთმანეთს არ უკავშირებს, ცალ-ცალკე განიხილავს. შედეგად, სხეულის განვითარებას ყურადღებას არ აქცევს და აქცენტი გონისა და აზროვნების განვითარებაზე გადააქვს.

ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა

55 ითამაშეთ ნამდვილი თამაში

ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ხედავდეს ბაზრის მოთხოვნებს. არც ჩვენს ქვეყანაშია მთლად კარგად საქმე. მასწავლებელი რეალური გარემოსა და ცხოვრების მოთხოვნებს საგაკვეთილო პროცესში უნდა აზიარებდეს მოსწავლეს.

ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30